ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №3

05.12.2017 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. ლევან ჯაფარიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. რამინა ბერაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. თემურ გორგაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ლევან დავითაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ალექსანდრე ხუჯაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ლევან დარახველიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. ლევან არველაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. გოჩა თევდორაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. თამარ ტალიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. ბექა დავითულიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. ანა ლაშხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. ვლადიმერ ძნელაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
15. გულია გოცირიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
16. ქეთევან ჯოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
17. ნიკოლოზ ვაჩეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
18. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
19. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
20. დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
21. მიხეილ ამაშუკელი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
22. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
23. გიორგი მუსხელიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

24. თინათინ ნიბლოშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ლევან მიქაია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. თამარ მათიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. სერგო ბირკაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
5. ზაზა ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა ირაკლი ზარქუამ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, გარემოს დაცვის, განათლებისა და კულტურის, სახელდებისა და სიმბოლიკის, ასევე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი ირაკლი ზარქუას სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 30 წერილი ნოემბრის №12-031733421-03 წერილი) - ოქმს ერთვის

2. მიმდინარე საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 4 დეკემბრის №12-031733868-03 წერილი) - ოქმს ერთვის

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერ. კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 30 წერილი ნოემბრის №12-031733421-03 წერილი)

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, **ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა ირაკლი ზარქუამ** აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებები, ძირითადად, ხორციელდება ფაქტიურად მიღებული შემოსულობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნებისა და პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში მიღებული ეკონომიების გადანაწილების შესახებ წინადადებების გათვალისწინებით. გაწეული ეკონომიის შედეგად მოძიებული რესურსი გადანაწილდება ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორიცაა: ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური ტრანსპორტის რეაბილიტაციის პროგრამები.

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. თალაკვაძემ.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი პროექტით, ბიუჯეტის მოცულობა მცირდება 7 471 200 (შვიდი მილიონ ოთხას სამოცდათერთმეტი ათას ორასი) ლარით და შეადგენს 818 826 900 (რვაას თვრამეტი მილიონ რვაას ოცდაექვსი ათას ცხრაასი) ლარს, რაც დაკავშირებულია მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობასთან, რომლისთვისაც ასიგნებები გათვალისწინებულია 2018 წლის ბიუჯეტში. შესაბამისად, მცირდება ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილიც. გარდა ამისა, ბიუჯეტში ფაქტიურად მობილიზებული შემოსულობებიდან გამომდინარე, მცირდება შემოსულობა ძირითადი აქტივობის გაყიდვებიდან 25 000 000 (ოცდახუთი მილიონი) ლარით და ამავე ოდენობით იზრდება შემოსულობა არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან. ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ფაქტიურად მიღებული თანხების გათვალისწინებით, ბიუჯეტში ასახულია მიმდინარე ტრანსფერის მუხლიდან კაპიტალური ტრანსფერის მუხლში გადატანა. გარდა ამისა, სახელშეკრულებო, სატენდერო და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებიდან

მიღებული ეკონომიების ხარჯზე მცირდება გამწვანების ღონისძიებების (კოდი: 03 01) დაფინანსება 575 000 (ხუთას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარით.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა გ. თევდორაძემ (საკრებულოს წევრი) - არშემდგარი ტენდერების თაობაზე.

ბ-ნმა ნ. ვაჩეიშვილმა (საკრებულოს წევრი) - არშემდგარი ტენდერების მიზეზების თაობაზე. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ამ სახით გაწეული ეკონომია დადებითად არ უნდა იქნას შეფასებული.

ბ-ნმა ირ. ზარქუამ (ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე) - არშემდგარი ტენდერების მიზეზების თაობაზე. გამომსვლელის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სატენდერო წინადადებები ცხადდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

ქ-ნმა თ. ტალიაშვილმა (საკრებულოს წევრი) - განათლებისა და კულტურის პროგრამების თაობაზე. კერძოდ, მიმდინარე საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტების აქტიურად გაშუქებისა და არაფორმალური განათლების ხელშეწყობის აუცილებლობის შესახებ.

ბ-ნმა გ. ჩაკვეტაძემ (საკრებულოს წევრი) - მიმდინარე წელს დაწყებული სპორტული პროექტების 2018 წლის განმავლობაში დასრულების თაობაზე.

გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მხრიდან განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კომისიის სხდომაზე მოსმენილი ინფორმაციის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 30 ნოემბრის **№12-031733421-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 30 ნოემბრის **№12-031733421-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის **მეორე (მიმდინარე) საკითხი** - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2017 წლის 4 დეკმებრის №12-031733868-03 წერილი)

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 29 ნეომბერის №44.07.858 განკარგულების საფუძველზე, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის საკითხი.

გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მხრიდან განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კომისიის სხდომაზე მოსმენილი ინფორმაციის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 4 დეკემბრის №12-031733868-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 4 დეკემბრის №12-031733868-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე